

მედიანონსი

საქართველოს პარლამენტი აქვეყნებს სამოქმედო გეგმას, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულებას უკავშირდება

2019 წლის 15 აპრილს, 14:30 საათზე, სასტუმროში „თბილისი ქორთიარდი“ (თავისუფლების მოედანი 4, თბილისი), საქართველოს პარლამენტი წარადგენს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმას, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესრულების პროცესში საპარლამენტო საქმიანობას განსაზღვრავს.

ღონისძიებას გახსნიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართავენ ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი და გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი საქართველოში ლუიზა ვინტონი.

ღონისძიების ორგანიზატორია საქართველოს პარლამენტი ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით.

ჟურნალისტებს ვიწვევთ დასასწრებად:

ორშაბათს, 15 აპრილს, 14:30 საათზე, სასტუმროში „თბილისი ქორთიარდი“, თავისუფლების მოედანი 4, თბილისი

საკონტაქტო ინფორმაცია:

- მადონა ნოზაძე, საქართველოს პარლამენტი, mnozadze@parliament.ge
- სოფო ჭიჭინაძე, UNDP საქართველო, sophie.tchitchinadze@undp.org
- თამარ მიქაძე, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, tamriko.mikadze@eeas.europa.eu